



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგტკიცებ“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

გაბა შეყილაძე

“7” აპრილი 2018 წელი

№ 53/36

ვგზ.: №1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ზოგადი ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	8
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	8
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	8
1.2.1 მოკლევადიანი აქტივები.....	8
1.2.2 გრძელვადიანი აქტივები.....	10
1.2.3 ინვენტარიზაცია.....	15
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	15
2.1 საწყისი ნაშთების კორექტირება.....	15
2.2 საცნობარო მუხლი.....	17
2.3 საბიბლიოთეკო ფონდი.....	17
2.4 შრომის ანაზღაურება.....	19
2.5 დაურეგისტრირებელი და საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქონება.....	19
2.6 განმარტებითი შენიშვნები.....	20
2.7 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება.....	21
2.8 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი.....	22
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	23
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.....	23
5. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართები.....	26

ტერმინთა განმარტება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - სამინისტრო;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - მართვის სისტემა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ფინანსდება 32 01 პროგრამული კოდით - სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - ანგარიშგება;

სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი - ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი.


ზოგადი ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე.

სამინისტრო ატარებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას, მეცნიერების განვითარებასა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების დაფინანსების და შემოსავლის წყაროა:

-) სახელმწიფო ბიუჯეტი (პროგრამული კოდი: 32);
-) სახელმწიფო ბიუჯეტი (ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამები, პროგრამული კოდი: 39 04);
-) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;
-) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (არასაბიუჯეტო) შემოსავალი.



2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

ცხრილი 1.

ათასი ლარი

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
1	2	3	4	5
ჯამური	1,413,165.00	1,495,801.96	1,414,857.33	94.6%
ხარჯები	1,304,140.00	1,379,415.65	1,322,789.33	95.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	107,565.00	111,572.78	83,687.53	75.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	-	1,000.00	4,888.28	488.8%
ვალდებულებების კლება	1,460.00	3,813.53	3,492.20	91.6%

სამინისტროს სისტემისათვის გამოყოფილი სახსრები ყველა წყაროდან ჯამურად გათვალისწინებული იყო 10 (ათი) პროგრამის დასაფინანსებლად. პროგრამების ხვედრითი წილი და საკასო ხარჯის პროცენტული შესრულება:

ცხრილი 2.

ათასი ლარი

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	% - ული წილი	გეგმის შესრულება %-ად
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1,413,165.00	1,495,801.96	1,414,857.33	100.00	94.59
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	24,987.00	25,572.72	24,710.93	1.75	96.63
32 02	ზოგადი განათლება	660,078.00	654,257.80	648,296.89	45.82	99.09
32 03	პროფესიული განათლება	44,909.00	59,763.28	49,376.36	3.49	82.62
32 04	უმაღლესი განათლება	400,812.00	469,944.10	402,220.28	28.43	85.59
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	63,210.00	65,353.02	63,232.95	4.47	96.76
32 06	ინკლუზიური განათლება	5,134.00	4,864.83	4,785.39	0.34	98.37
32 07	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა	115,980.00	117,091.20	116,447.93	8.23	99.45

ფინანსური აუდიტის ანგარიში

	ინფრასტრუქტურის განვითარება					
32 08	„ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“	93,055.00	93,955.00	100,898.32	7.13	107.39
32 09	თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტუ- რობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)	4,000.00	4,000.00	0.00	0.00	0.00
32 10	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank)	1,000.00	1,000.00	4,888.28	0.35	488.83

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს:

-) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
-) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
-) ფულადი სახსრების შესახებ ანგარიშგებას;
-) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
-) ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას;
-) ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის;
-) ახსნა-განმარტებით ბარათს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით - „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 მოკლევადიანი აქტივები

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს მოთხოვნების/მოკლევადიანი აქტივების ნაშთი შეადგენდა 242,110.67 ათას ლარს. წლის განმავლობაში მოთხოვნები გაიზარდა 29,802.28 ათასი ლარის ოდენობით და შეადგინა 271,912.95 ათასი ლარი.

მოკლევადიანი აქტივების სტრუქტურა:

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, დანართები 1-11.

დასახელება	31.12.2017	01.01.2017
1	2	3
ფულადი სახსრები	172,760.08	126,523.97
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	44,651.34	41,172.27
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	37,065.70	57,588.25
სხვა მატერიალური მარაგები	17,435.83	16,826.18
სულ მოკლევადიანი აქტივები	271,912.95	242,110.67

საბუღალტრო ანგარიშზე - „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მომსახურების მიწოდებით“, 31,634.95 ათასი ლარის ნაშთი, რაც კონსოლიდირებულ ბალანსში წარმოდგენილი „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ და „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ნაშთების ჯამური თანხის 38%-ს შეადგენს, გადმოვიდა უმაღლესი დაწესებულებების ბალანსებიდან და შედგება სტუდენტების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებიც წარმოშობილია სწავლების მომსახურების გაწევის საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა აღნიშნული მოთხოვნების ინვენტარიზაცია. ამასთანავე, სტუდენტთა დიდი რიცხოვნობისა და სტუდენტთა იდენტიფიცირებისათვის პერსონალურ მონაცემთა წვდომის შეზღუდვის გამო, შეუძლებელი იყო დამატებითი აუდიტორული პროცედურებითაც საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება. ზოგიერთ უნივერსიტეტში, ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ ქალაქში, არ არის დანერგილი ლიცენზირებული საბუღალტრო პროგრამები. ხშირ შემთხვევაში, ერთსა და იმავე საკითხზე მოპოვებული მტკიცებულებები წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან და არსებითი ხასიათის შეუსაბამობებს შეიცავს. დანერგილი და მოქმედი კონტროლის სისტემა არაეფექტიანია და არსებობს მაღალი რისკი, რომ შეცდომები არ იქნება გამოვლენილი. აქედან გამომდინარე, არ დასტურდება N1355 საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მომსახურების მიწოდებით“ 31,634.95 ათასი ლარის ნაშთის სისწორე.

საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ირიცხება 212.84 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნას. აქედან: 47.96 ათასი ლარი წარმოადგენს უნივერსიტეტში 2007 წლის რეორგანიზაციის შემდეგ საწყის ნაშთად დაფიქსირებულ თანხას, ხოლო 136.11 ათასი ლარი - 2010 წელს რეორგანიზაციის შედეგად შემოერთებული ინსტიტუტების (ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- 135.19 ათასი ლარი², თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი - 0.9 ათასი ლარი) მოთხოვნებს. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა მოცემული მოთხოვნების წარმოშობის საფუძვლები და არ ფლობს ინფორმაციას დებიტორების თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე, 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად, გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია³, რაც დღემდე არ შესრულებულა.

1.2.2 გრძელვადიანი აქტივები

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების საწყისი ნაშთი შეადგენდა 1,360,891.07 ათას ლარს, საბოლოო ნაშთი - 1,442,200.99 ათას ლარს. გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი 4.

ათასი ლარი

დასახელება	31.12.2017	01.01.2017
1	2	3
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	10,605.01	13,840.48
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	8,525.14	10,558.99
ძირითადი აქტივები	1,063,353.87	978,002.71
ფასეულობები	1,387.87	699.68
არაწარმოებული აქტივები	358,329.10	357,789.21
საინვესტიციო ქონება	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,442,200.99	1,360,891.07

1.2.2.1 აღურიცხავი აქტივები

სახელმწიფო უნივერსიტეტებს⁴ არ აქვთ შეფასებული და ბალანსზე აღრიცხული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომლებზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის N58 დადგენილების საფუძველზე დაფუძნებული ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად, უნივერსიტეტებს გადმოეცათ ამავე კვლევითი

² ინსტიტუტის დირექტორის მ/შ-ის მოხსენებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს დამნაშავე პირზე აღმასრულებელი ფურცლით დაკისრებულ დებიტორულ დავალიანებას, რომელიც 1994 წლიდან ირიცხება. აუდიტის ჯგუფს არ მიეწოდა აღსრულების ფურცელი.

³ <https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2018/ganatilebisa-da-mecnierebis-saministro-rekomendacia.pdf>

⁴ იხ. ცხრილი 5

დაწესებულებების უძრავი ქონება. გადმოცემის დროს უნივერსიტეტების ბალანსზე ასახულია მხოლოდ შენობა-ნაგებობები და ცალკე არ არის გამოყოფილი და აღრიცხული მიწის ნაკვეთები, რომელზედაც ეს შენობა-ნაგებობებია განთავსებული. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იმ უნივერსიტეტების მიწის ნაკვეთების რაოდენობასა და ფართობს, რომელთა რეალური ღირებულება არ არის შეფასებული და „არაწარმოებული აქტივების“ მუხლზე ასახული.

ცხრილი 5.

კვ.მ

უნივერსიტეტის დასახელება	რაოდენობა	ფართობი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	4	3,299
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3	223,781
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	49	348,066
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	350,413
სსიპ – სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	5,042
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	4	9,976
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	6	28,124
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	4,503
სულ:	88	973,204

ქ) ეროვნული ცენტრის ბალანსზე „არაწარმოებული აქტივების“ სახით⁵ აღრიცხული არ არის 2014 წელს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემული ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში 29 983.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია და ფუნქციონირებს შაორის „მომავლის ბანაკი“⁶.

იმ შემთხვევაში, როდესაც მიწა შეძენილია შენობებთან, სხვა ნაგებობებთან და კულტივირებულ აქტივებთან ერთად, აღნიშნული აქტივები უნდა შეფასდეს და აღირიცხოს ცალ-ცალკე⁷. თუ შეუძლებელია აქტივის თვითღირებულების დადგენა, ის ბალანსზე აისახება რეალური ღირებულებით⁸.

⁵ ანგარიში N 2400.

⁶ საკადასტრო კოდი N 86, 11.27.075-ბანაკის ტერიტორიაზე არსებული შენობა - ნაგებობები აღრიცხულია ცენტრის ბალანსზე.

⁷ 2014 წლის 31 დეკემბერის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429, მუხლი 34.

⁸ 2014 წლის 31 დეკემბერის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429, მუხლი 10, პუნქტი 3^ა

აღნიშნული უზუსტობების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის ეფექტის დადგენის შესაძლებლობის არქონის გამო, ჩვენ ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება „ძირითადი აქტივების“ ნაშთის სისრულეზე.

1.2.2.2 აქტივები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობაში აღარ გამოიყენება

- ა) ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ბალანსზე ძირითადი აქტივების ანგარიშზე⁹ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების სახით აღრიცხულია მსოფლიო ბანკთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში 2008-2012 წლებში საქართველოს რიგი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული ახალგაზრდული ოფისების სარემონტო სამუშაოების ღირებულება 119.42 ათასი ლარის ოდენობით¹⁰. ფაქტობრივად კი, საბუღალტრო ჩანაწერების შესაბამისად¹¹, საბალანსო ღირებულება შეადგენს 195.41 ათას ლარს. საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული ოფისები ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის კონტროლირებად რესურსს აღარ წარმოადგენენ და შესაბამისად, აღარ გამოიყენება ეკონომიკურ საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, მოცემული კაპიტალიზებული ხარჯები არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
- ბ) ეროვნული ცენტრის ბალანსზე არამატერიალური აქტივების სახით აღრიცხულია¹², 2008-2012 წლებში შეძენილი 22.86 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ვიდეორგოლები, რომელთა მიხედვით, ორგანიზაციაში ეკონომიკური სარგებლის მიღება და მომსახურების პოტენციალის შემოსვლა არ ხდება.

1.2.2.3 ხარჯებში ჩამოწერილი აქტივები

ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხული შაორის „მომავლის ბანაკის“ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ფარგლებში¹³ დამზადებული 2 ცალი - 3 ათასი ლარის¹⁴ ღირებულების საჩრდილობელი, 4 ცალი - 6.80 ათასი ლარის ღირებულების მცირე ბუნგალოს¹⁵ და „ახალგაზრდული ფესტივალი 2017-ის“ მოსაწყობად¹⁶ საკონფერენციო დარბაზში დამონტაჟებული 6.05 ათასი ლარის ღირებულების 3 ცალი კონდიციონერის ღირებულება¹⁷ სარემონტო სამუშაოებთან ერთად, ჩამოწერილია ხარჯებში.

⁹ N2100.

¹⁰ საწყისი საბალანსო ღირებულება 321,361 ლარი.

¹¹ წარმოდგენილი განმარტებით, მექანიკური შეცდომის შედეგად.

¹² წინა პერიოდებში შესყიდული 13 დასახელების კლიპი.

¹³ N მ/ზ 11 - 36580 ლარი, შპს „თრენდი“.

¹⁴ ერთეულის ფასი - 1500 ლარი.

¹⁵ ერთეულის ფასი - 1700 ლარი.

¹⁶ N ა/ფ-40- 71000 ლარი, ი/მ „რუბენ ლუტიძე“.

¹⁷ სულ: 15,850 ლარის ღირებულების.

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად¹⁸, ისინი აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

1.2.2.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

1.2.2.4.1 არასწორი ცვეთის ნორმების გამოყენება

- სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-ებში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი) ძირითად საშუალებებზე, კერძოდ, შენობა-ნაგებობებზე დარიცხულმა ცვეთის ხარჯმა ჯამურად შეადგინა 2,032,440.81 ათასი ლარი. აღნიშნულ აქტივებზე, განურჩევლად მათი კატეგორიებისა, დარიცხულია ცვეთა 1%-ის ოდენობით. შესაბამისად, არ არის გამოიჯნული ცვეთის ნორმა შენობა-ნაგებობის კატეგორიების მიხედვით¹⁹.
- ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ 2010-2017 წლებში ცვეთის ნორმების არასწორი და შეუსაბამო კიეფიციენტების²⁰ გამოყენების შედეგად²¹, ანაკლიის „მომავლის ბანაკის“ შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემცირებულია 1,169.20 ათასი ლარით²² და ამავე ოდენობით გაზრდილია ძირითადი კაპიტალის მოხმარება.
- 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ცენტრის ბალანსის ძირითადი აქტივების ანგარიშზე²³ შაორის ბანაკის სახით ირიცხება 1,032.86 ათასი ლარის არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები და სხვა აქტივები. შენობა-ნაგებობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, ცვეთის ნორმების და წინა წლებში ცვეთის დაურიცხაობის გათვალისწინებით, ხის კოტეჯების და სხვა დანარჩენი ქონების ნარჩენ ღირებულებას უნდა შეედგინა 944.27 ათასი ლარი. შესაბამისად, აღნიშნული აქტივების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდილია 88.63 ათასი ლარით.

¹⁸ 2014 წლის 31 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429, 67-მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციის ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლი, დანართი N1.

²⁰ 2010 წლიდან ნაცვლად 1%-ის და 2,5%-ისა, ერიცხებოდა 5%.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

²² საცხოვრებელი შენობის - 1,152,000 ლარით; ხის კოტეჯის - 17.2 ათასი ლარით.

²³ N2100.

ქ) იქ, სადაც შესაძლებელია აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა, აუდიტის ობიექტის მიერ ცვეთის ხარჯი სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად არ არის დაანგარიშებული²⁴, კერძოდ:

- o სსიპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ 357.55 ათასი ლარის ღირებულების არამატერიალურ ძირითად აქტივებზე ერთობლივად დარიცხულია 25%-იანი წლიური ცვეთა.
- o სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ 32.30 ათასი ლარის ღირებულების არამატერიალურ ძირითად აქტივებზე ერთობლივად დარიცხულია 10%-იანი წლიური ცვეთა.

ზემოთ აღნიშნული უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე დადგენილია მხოლოდ იქ, სადაც გაანგარიშება შესაძლებელი იყო. შენობა-ნაგებობების ტექნიკური მონაცემების არ არსებობის გამო, ცვეთის ნორმის გამოსაყენებლად ვერ დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული²⁵ შესაბამისი შიფრი შენობა-ნაგებობების სახეებისა და ჯგუფების მიხედვით.

1.2.2.4.2 ამორტიზირებადი ღირებულების არასწორი გაანგარიშება

ცვეთა დარიცხულია არა აქტივის საწყის (ისტორიულ) ღირებულებაზე, არამედ მის საბალანსო ღირებულებაზე. კერძოდ, სსიპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიხედვით, ცვეთის დარიცხვის ბაზად აღებულია ძირითადი აქტივების - 13,241.35 ათასი ლარის, ხოლო სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხედვით - 792.23 ათასი ლარის საბალანსო ღირებულება. ზემოთ აღნიშნული ცვეთის დარიცხვის მეთოდი შეუსაბამოა ინსტრუქციის²⁶ მოთხოვნებთან. ამ უზუსტობის შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში - „ძირითადი აქტივები“ და „აქტივების წმინდა ღირებულების“ ანგარიშის ნაშთი გაზრდილად, ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში, ხარჯები - „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი შემცირებულადაა წარმოდგენილი.

ჩვენ მიერ ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების საწყისი (ისტორიული) ღირებულების და ექსპლუატაციის პერიოდში დამატებული არსებითი/მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ან გადაფასების ღირებულების შესახებ (სცილდება აუდირებულ პერიოდს), აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტაცია შენობა-ნაგებობის კატეგორიების იდენტიფიცირებისათვის. აქედან გამომდინარე, ვერ დგინდება მოცემული უზუსტობის გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, 39-ე მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება, მე-7 მუხლი, დანართი N1.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციის ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

1.2.3 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაციების უმეტესობა სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთეულებში დაიწყო აუდიტის დაწყებამდე და შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო ინვენტარიზაციის პროცესებზე დასწრება. აუდიტის პროცესში დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგები არ არის გამოყვანილი და ფინანსურ ანგარიშგებაში სრულად ასახული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა ინვენტარიზაციის შედეგების გავლენა არაფინანსური აქტივების ნაშთებზე.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 საწყისი ნაშთების კორექტირება

2017 წლის ბალანსში საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთები არ ედრება საანგარიშგებო პერიოდის წინა პერიოდის საბოლოო ნაშთებს.

ცხრილი 6.

ათასი ლარი

დასახელება	ანგარიშის N	31. 12. 2016	01. 01. 2017	სხვაობა: (+) ზრდა, (-) კლება
1	2	3	4	5
ფულადი სახსრები	1100-1200	126,314.11	126,523.97	209.86
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	41,160.36	41,172.27	11.92
მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	57,418.22	57,588.25	170.03
გრძელვადიანი მოთხოვნები	1500	4,064.08	13,840.48	9,776.40
სხვა მატერიალური მარაგები	1600	16,683.90	16,826.18	142.29
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	10,454.63	10,558.99	104.36
ძირითადი აქტივები	2100	975,101.42	978,002.71	2,901.28
ფასეულობები	2300	699.68	699.68	-
არაწარმოებული აქტივები	2400	357,994.66	357,789.21	(205.45)
სულ აქტივები:		1,589,891.06	1,603,001.74	13,110.67
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	455.99	455.99	-
მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	64,598.13	64,639.42	41.28

ფინანსური აუდიტის ანგარიში

გრძელვადიანი ვალდებულებები	ფინანსური	3300	215.98	215.98	-
აქტივების წმინდა ღირებულება		5100	1,285,693.17	1,300,640.64	14,947.46
გაუნაწილებელი მოგება		5220	238,927.79	237,049.71	(1,878.08)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:			1,589,891.07	1,603,001.74	13,110.67

აღნიშნული განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

საწყის ნაშთებს დამატა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ფინანსური ანგარიშგებების ნაშთები შემდეგი პროგრამებიდან:

ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამები:

- o 39 04 01 - ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა;
- o 39 04 02 - სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;
- o 39 04 03 - სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი ;
- o 39 04 04 - პროგრამა „მომავლის ბანაკი“;
- o 39 04 05 - პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი - 2016“;

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი.

საწყის ნაშთებს გამოაკლდა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა“ (32 05 04) პროგრამის (განმახორციელებელი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია) ფინანსური ანგარიშგებების ნაშთები.

ფულადი სახსრების ამსახველი ნაშთების კორექტირება. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსის პერიოდის ბოლოს რიცხული ფულის, ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნაშთები, 2016 წლის ბალანსის საწყის ნაშთებში გადანაწილებულია სხვადასხვა ანგარიშებზე, ხოლო ჯამური ნაშთი გაზრდილია 209.86 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია:

- o 32 03 01 - კოდში სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის“ ხაზინის მიერ დეპოზიტის ანგარიშიდან გადმოტანილი თანხის 200.00 ათასი ლარის 2016 წელს შემოსავალში არასწორად აღიარებით, რაც შესწორდა და საანგარიშო პერიოდში ხაზინამ დაუსვა აღნიშნულ ორგანიზაციას საწყის ფულის ნაშთში;
- o 32 03 01 - კოდში 2016 წელს ხაზინის გაურკვეველ ანგარიშზე ჩარიცხული თანხები, რომლებიც ვერ იქნა აღიარებული ორგანიზაციების მიერ შემოსავლებად, მიმდინარე პერიოდში, გაირკვა და ხაზინის მიერ დაისვა საწყის ფულის ნაშთში ჯამურად 1.32 ათასი ლარი;

ფინანსური აუდიტის ანგარიში

- o უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აუთვისებელი თანხების უკან ხაზინაში დაბრუნებით (როგორც მიზნობრივი გრანტის, ასევე ეკონომიკური საქმიანობით), რომლებიც აისახა წლის დასაწყისის ნაშთებში ჯამურად, 28.11 ათასი ლარი, მათ შორის, ანგ. N1240 – 26.25 ათასი ლარი, ანგ. N1280 – 1.85 ათასი ლარი;
- o საზოგადოებრივი კოლეჯების აუთვისებელი თანხების უკან დაბრუნებით, რომლებიც აისახა წლის დასაწყისის ნაშთებში ჯამურად - 0.45 ათასი ლარი;
- o სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის პროგრამები 390403, 390404, 390405 - 21.04 ათასი ლარი;
- o ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ფულის ნაშთის ჯამურად 41.05 ათასი ლარის ამოღებით.

ამასთანავე, აუთვისებელი და დაბრუნებული მიზნობრივი გრანტის თანხები ხაზინის დაზუსტებულ ამონაწერებში აისახა 2017 წლის საწყის ნაშთებში.

2.2 საცნობარო მუხლი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საცნობარო მუხლში წარმოდგენილია ვადაგადაცილებული დავალიანებები ღირებულებით 29,563.37 ათასი ლარი, მათ შორის, საანგარიშგებო წლის წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი კრედიტორული დავალიანება დანართი 12-ის მიხედვით შეადგენს 14,538.94 ათას ლარს, ხოლო საანგარიშგებო წელს წარმოქმნილი და დაუფარავი კრედიტორული დავალიანება - 15,024.43 ათას ლარს. აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით²⁷, ამ მუხლზე საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილი ვადაგადაცილებული დავალიანებები არ აღირიცხება, შესაბამისად, 15,024.43 ათასი ლარით გაზრდილია ნაშთი ბალანსგარეშე საცნობარო მუხლზე (09) – „ვადაგადაცილებული დავალიანებები“.

2.3 საბიბლიოთეკო ფონდი

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია როგორც სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და უნივერსიტეტების მიხედვით საბიბლიოთეკო ფონდი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

²⁷ 2014 წლის 31 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429, მუხლი 47, პუნქტი 10.

სსიპ-ების დასახელება	საბიბლიოთეკო ფონდი - 2017 წლის 31 დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)	სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი - 2017 წლის 31 წელი დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)	% -
სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	390.88	794.48	49%
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	25,700.70	35,868.91	72%
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	8,989.81	17,078.28	53%
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2,507.72	9,977.32	25%
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1,918.46	4,089.06	47%
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	933.61	5,069.00	18%
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	741.34	23,865.89	3%
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	716.52	1,051.47	68%
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	400.25	583.39	69%
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	261.25	617.09	42%
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	184.64	489.46	38%
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	98.35	842.59	12%
ჯამში:	42,843.52	100,326.93	43%

საბიბლიოთეკო ფონდის წილი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთში შეადგენს 43%-ს. საბიბლიოთეკო ფონდებში ჩართულია საკოლექციო წიგნები, უნიკალური ხელნაწერები, გამოცემები და რარიტეტები, რომლებიც არ გამოიყენება მოხმარების მიზნით, გააჩნიათ მნიშვნელოვანი ღირებულება და წარმოადგენენ ღირებულების დაგროვების საშუალებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული მწარმოებლური აქტივები აკმაყოფილებენ ფასეულობად აღიარების კრიტერიუმებს. ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის, ამ

აქტივების ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნებისა და დაცულობაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად მათი აღრიცხვა უნდა განხორციელდეს ფასეულობების საბალანსო ანგარიშზე.

2.4 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს და მის დაქვემდებარებულ უწყებებში (გარდა კოლეჯების, რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების) თანამდებობრივი სარგოს ნაწილში დამტკიცებული საბიუჯეტო პარამეტრი 2,878.62 ათასი ლარით აღემატება საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სახელფასო ფონდს. მოცემულ შემთხვევაში საბიუჯეტო პარამეტრი და მისი დაგეგმვის საფუძველი არსებითად განსხვავებულია, რამაც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ხარჯის აღნიშნულ მუხლში წარმოშვა ეკონომიის შესაძლებლობა. ამასთან, საშტატო ნუსხის შესაბამისად განსაზღვრული სახელფასო ფონდის მოცულობა 1,341.74 ათასი ლარით აღემატება ამ მუხლის მიხედვით საკასო ხარჯს (ფაქტობრივ შესრულებას). ამ ნაწილში ეკონომია თავის მხრივ განაპირობა ცალკეულ საშტატო პოზიციებზე ვაკანსიების არსებობამ, რომელიც წლების განმავლობაში არსებული არაოპტიმალური საშტატო სტრუქტურის შედეგია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო წლის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს მუხლში წარმოქმნილმა ჯამურმა ეკონომიამ შეადგინა 4,220.36 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა შრომის ანაზღაურების სხვა ფორმის - პრემია/დანამატების - ხარჯების დაფინანსებაზე.

ცხრილი 8.

ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგოს მუხლით დამტკიცებული ასიგნება	სახელფასო საშტატო მიხედვით	ფონდი ნუსხის საკასო ხარჯი	წარმოქმნილი ეკონომია
30,024.06	27,145.44	25,803.70	4,220.36

2.5 დაურეგისტრირებელი და საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქონება

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონება გადაეცემა მხოლოდ სარგებლობის უფლებით²⁸. ამის მიუხედავად, ზოგიერთ უნივერსიტეტს უძრავი ქონების გარკვეული ნაწილი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აქვს დარეგისტრირებული. აღნიშნული გარემოება მათი არაკომერციულ იურიდიულ პირებად ყოფნის ისტორიული შედეგია (საქართველოს მთავრობის მიერ 2011-2013 წლებში მიღებული შესაბამისი დადგენილებების შედეგად²⁹ უნივერსიტეტებმა განიცადეს სამართლებრივი ფორმის ცვლილება. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან

²⁸ სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის VII თავი; საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილების 1 მუხლის მე-2 პუნქტი; სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

²⁹ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბერი N412 და 2013 წლის 29 ივლისი N187 დადგენილებები;

რეორგანიზაციის შედეგად, გარდაიქმნენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად, ხოლო შემდგომ, ხელახლა შეიცვალეს სამართლებრივი ფორმა და კვლავ დაუბრუნდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს.) ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაცია მოცემული პირების უფლებაუნარიანობის მოცულობის ზრდის რისკის მატარებელია და წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ შეზღუდულ, სპეციალურ უფლებაუნარიანობასთან. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ქონების მოძრაობაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს (სამინისტრო) და ქონების მმართველის (სსიპ - სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო) კონტროლი სუსტია და მისი გადაწყვეტილებები ამ ნაწილში შესაძლებელია გასცდეს სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს.

რიგ შემთხვევაში, არაფინანსურ აქტივად რიცხულ უძრავი ქონებებზე სანივთო უფლება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რომელიც თავის მხრივ აუარესებს კონტროლის გარემოს და ზრდის არსებობის მტკიცების მიხედვით უზუსტობის ალბათობას.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს უძრავი ქონების საკუთრების უფლებით ფლობასა და საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებას.

ცხრილი 9.

ათასი ლარი

რეგისტრირებული უფლება	სანივთო	შენიშვნა- ნაგებობის რაოდენობა (სააღრიცხვო მონაცემები)	შენიშვნა- ნაგებობის საბალანსო ღირებულება	მიწის რაოდენობა საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით	მიწის საბალანსო ღირებულება	ჯამში საბალანსო ღირებულება
არ არის რეგისტრირებული		71	11,415.66	44	16,182.13	27,597.80
საკუთრება		209	139,766.99	80	103,489.87	243,256.87

2.6 განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არასაკმარისადაა წარმოდგენილი ანგარიშგების მუხლების ტექსტური აღწერილობა. კერძოდ, ბალანსზე ირიცხება 4,299.9 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონება, რომლებზეც უნივერსიტეტების მხრიდან ფაქტობრივი კონტროლი ვერ ხორციელდება. ფართები დაკავებულია ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული ან სხვა პირების მიერ. ეს აქტივები სამინისტროს ერთეულების მიერ არ გამოიყენება და მათგან სარგებელი არ მიიღება. მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში დაფიქსირებული არ არის.

2.7 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

- ქ) მხარჯავი უწყება აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებს³⁰. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა მის მიერ წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და სიხშირე. კერძოდ, 2017 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადანაწილებები პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელდა ჯამში - 209-ჯერ.
- ქ) სამინისტროს ქვეპროგრამის - „განათლების სფეროში სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა“ (32 01 02) ფარგლებში არ იყო გაწერილი 3,5 მლნ. ლარის ასიგნების ხარჯვის მიზნობრივი დანიშნულება და ის გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის რეზერვის ხასიათს ატარებდა. ჭარბად დაგეგმილი რესურსი დამტკიცებული გეგმის ცვლილებით გადატანილ იქნა ქვეპროგრამის „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ (პროგრამული კოდი 32 01 04) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების გასაზრდელად სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა ერთი პროგრამის „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა“ ფარგლებში (პროგრამული კოდი 32 01).
- ქ) სამინისტროს ქვეპროგრამაში - „მასწავლებელთა მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა“ (32 04 02 07), დამტკიცებული დაფინანსების (2.1 მლნ ლარი) მხოლოდ 13.6%-ია ათვისებული, ვინაიდან დაგეგმვის ეტაპზე ბენეფიციართა რაოდენობა არაზუსტად იქნა განსაზღვრული. ანალოგიურად, „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების“ ქვეპროგრამაში (32 04 02 05), რომლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გეგმა (1.6 მლნ ლარი) წლის განმავლობაში 2.3 მლნ ლარამდე გაიზარდა, ფაქტობრივმა ხარჯმა 1.3 მლნ ლარი შეადგინა. დანარჩენი ასიგნებები კი აუთვისებელი დარჩა.
- ქ) სამინისტროს (32 00) ქვეპროგრამის - „საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა“ (32 07 01 02) წლიური ასიგნებები 2.5 მლნ ლარის ოდენობით დამტკიცდა. თუმცა, დაზუსტების შედეგად გეგმა 41 ათას ლარამდე შემცირდა (98.4%-ით). წლის ბოლოს დაზუსტებული გეგმის 98.1% იქნა ათვისებული, მაშინ როდესაც, შესრულების მაჩვენებელი დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში 1.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს პროგრამისთვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული თანხის მხოლოდ 1.5% იქნა ათვისებული. ანალოგიურად, „საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების“ ქვეპროგრამის (32 07 02 05) დამტკიცებული

³⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 31, პუნქტი 3: „მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს“.

ასიგნებები 2.0 მლნ ლარიდან - 257 ათას ლარამდე შემცირდა, რაც თითქმის სრულად იქნა ათვისებული. თუმცა, დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში ათვისების მაჩვენებელი მხოლოდ 12.3%-ს შეადგენს.

- სამინისტროს მასშტაბით „სუბსიდიის“ მუხლიდან საწვავის მოხმარებაზე გაწეულია 716.03 ათასი ლარის ღირებულების ხარჯი. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწვავის მოხმარებაზე გაწეული საკასო ხარჯი 1,372.46 ათას ლარს შეადგენს, რაც არ ითვალისწინებს სუბსიდირებულ დანახარჯებს. „სუბსიდიის“ მუხლიდან გახარჯული საწვავი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ხარჯის 52%-ს შეადგენს. საწვავის ამგვარი მასშტაბური მოხმარება „სუბსიდიის“ მუხლიდან, გაუმჭვირვალოს ხდის საწვავის მოხმარებაზე წარმოდგენილ როგორც სახაზინო, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში საწვავის მოხმარებასთან დაკავშირებით ასახულ ინფორმაციას.

2.8 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

2017 წელს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 6 უმაღლესი სასწავლებლის 13 პროექტის დასაფინანსებლად გამოიყო 628 ათასი ლარი ჯამურად, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 610 ათასი ლარი.

- სარეზერვო ფონდებიდან საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა ხდება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებენ და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მათი გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. კერძოდ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტები - „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, „ვისწავლოთ ქართული“; სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი - „ახალგაზრდა ინიციატივების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებისათვის“; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროექტი - „უცხოელი პროფესორების აკადემიური და სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება საქართველოში“.
- სარეზერვო ფონდებიდან საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა ხდება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც არ ატარებენ სისტემატურ ხასიათს, თუმცა მათი მნიშვნელობიდან, მასშტაბიდან და ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ ხარჯად. შესაბამისად, შესაძლებელია მათი მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება. კერძოდ, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროექტი - „ლიტერატურული კაფე“; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი - „უნივერსიტეტი 100“.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარ წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაა შეაფასონ კომპანიის უნარი - განაგრძოს უწყვეტი მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ორგანიზაციამ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენონ აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან თუ მათ არ აქვთ რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცნენ.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი გამოავლენს არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ჩვენ აგრეთვე:

ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ

რისკების შესაფერის აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით დაშვებული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის სისუსტეს.

ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან, და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.

ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და დირექტორების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.

ვასკვნიტ დირექტორების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ორგანიზაციის უნარში, განაგრძოს ფუნქციონირება. თუ გამოვლინდა არსებითი უზუსტობა, ჩვენ ვაღდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები შეუფერებელია - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ საწარმოს ფუნქციონირებადობის საკითხი.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგად ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ტრანზაქციების და მოვლენების უტყუარად წარდგენის კრიტერიუმებს.

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს ფარგლებში ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციისა და საქმიანი აქტივობების შესახებ, რომ შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, გაკონტროლებაზე და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულიად ვაგებთ პასუხს ჩვენს დასკვნაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ ხელმძღვანელობას ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგენს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტორთა ხელმოწერა

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ნოდარი გაბედავა

წამყვანი აუდიტორი

ზურაბ ზუმბაძე

აუდიტორი



ილია ლომაური

აუდიტორ - ასისტენტი

გიორგი გოგოლიძე

აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა



5. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართები

ფორმა N1.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

N	დასახელება	ანგარიში	2017 წლის 31 დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	172,760,084.00	126,523,967.00
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	44,651,336.00	41,172,273.00
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	37,065,696.00	57,588,247.00
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	17,435,829.00	16,826,181.00
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		271,912,945.00	242,110,668.00
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	10,605,012.00	13,840,478.00
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	8,525,140.00	10,558,989.00
120	ძირითადი აქტივები	2100	1,063,353,870.00	978,002,707.00
130	ფასეულობები	2300	1,387,869.00	699,683.00
140	არაწარმოებული აქტივები	2400	358,329,095.00	357,789,212.00
150	საინვესტიციო ქონება	2500	-	-
160	სულ გრძელვადიანი აქტივები		1,442,200,986.00	1,360,891,069.00
170	ბალანსი		1,442,200,986.00	1,360,891,069.00
180	ვალდებულებები			
190	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
200	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	324,378.00	455,986.00
210	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	48,690,394.00	64,639,418.00
220	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და		49,014,772.00	65,095,404.00

ფინანსური აუდიტის ანგარიში

კრედიტორული დავალიანებები				
230	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	5,997,418.00	215,984.00
240	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,997,418.00	215,984.00
250	სულ ვალდებულებები		55,012,190.00	65,311,388.00
260	კაპიტალი			
270	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1,371,717,488.00	1,300,640,636.00
280	გაუნაწილებელი მოგება	5220	287,384,253.00	237,049,713.00
290	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
300	სულ კაპიტალი		1,659,101,741.00	1,537,690,349.00
310	ბალანსი		1,714,113,931.00	1,603,001,737.00

ფორმა N2.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბრისათვის(საანგარიშო წელი)

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010 ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,108,339,454.35	-	1,108,339,454.35	956,793,175.63
020 შემოსავლები (030+040+050+060)	54,513,558.52	342,370,070.00	396,883,628.52	889,524,875.51
030 გადასახადები	-	-	-	276.00
040 სოციალური შენატანები	-	-	-	-
050 გრანტები	47,892,215.52	25,597,653.00	73,489,868.52	87,612,040.51
060 სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	6,621,343.00	316,772,417.00	323,393,760.00	801,912,559.00
070 ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	3,836,456.00	3,836,456.00	17,463,794.00
080 ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	48,498.00	302,421,451.00	302,469,949.00	769,047,989.00
090 გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	28,795.00	779,271.00	808,066.00	135,400.00
100 დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	3,718,577.00	1,836,690.00	5,555,267.00	4,082,194.00
110 ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2,825,473.00	7,898,549.00	10,724,022.00	11,183,182.00
120 სულ:	1,162,853,012.87	342,370,070.00	1,505,223,082.87	1,846,318,051.14
130				ხარჯები
140 მომუშავეთა ანაზღაურება	21,941,522.00	129,297,291.00	151,238,813.00	595,094,761.00
150 საქონელი და მომსახურება	78,880,136.00	117,210,808.00	196,090,944.00	275,355,550.00
160 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23,788,666.00	13,847,148.00	37,635,814.00	37,247,675.00
170 პროცენტი	-	70,559.00	70,559.00	19,450.00
180 სუბსიდიები	53,171,538.00	369,059.00	53,540,597.00	45,141,289.00

ფინანსური აუდიტის ანგარიში

190	გრანტები	83,414,044.00	1,575,908.00	84,989,952.00	97,620,302.00
200	სოციალური უზრუნველყოფა	3,927,424.00	957,691.00	4,885,115.00	5,024,680.00
210	სხვა ხარჯები	830,340,235.00	22,493,562.00	852,833,797.00	765,829,373.00
220	სულ:	1,095,463,565.00	285,822,026.00	1,381,285,591.00	1,821,333,080.00
230	ფინანსური შედეგი	67,389,447.87	56,548,044.00	123,937,491.87	24,984,971.14

ფორმა N3.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ანგარიში	ერთიანი საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	71,076,852.00	50,334,540.00	-	121,411,392.00
020 კორექტირებები: ¹	(17,747,382.02)	30,518,613.02	-	12,771,231.00
030 ცვეთა (+)	23,788,666.00	13,847,148.00	-	37,635,814.00
040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(37,364,462.65)	53,090.65	-	(37,311,372.00)
050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(249,700.91)	(359,947.09)	-	(609,648.00)
060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (- /+)	2,195,195.54	(161,346.54)	-	2,033,849.00
070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	28,935,484.00	(1,891,045.00)	-	27,044,439.00
080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(35,052,564.00)	19,030,713.00	-	(16,021,851.00)
090 წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	53,329,469.98	80,853,153.02	-	134,182,623.00
100 ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110 არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	1,392,778.00	-	1,392,778.00
120 ძირითადი აქტივები	-	109,303.00	-	109,303.00
130 სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
140 ფასეულობები	-	-	-	-

ფინანსური აუდიტის ანგარიში

150	არაწარმოებული აქტივები	-	1,283,475.00	-	1,283,475.00
160	საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
170	არაფინანსური აქტივების შესყიდვა	45,566,182.41	48,668,830.39	-	94,235,012.80
180	ძირითადი აქტივები	45,565,932.41	48,651,221.07	-	94,217,153.48
190	სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
200	ფასეულობები	-	-	-	-
210	არაწარმოებული აქტივები	250.00	17,609.32	-	17,859.32
220	საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
230	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(45,566,182.41)	(47,276,052.39)	-	(92,842,234.80)
240	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
250	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	139,062.00	-	-	139,062.00
260	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	4,756,667.00	-	-	4,756,667.00
270	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	4,895,729.00	-	-	4,895,729.00
280	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	12,659,016.57	33,577,100.63	-	46,236,117.20
290	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	2,639,496.57	123,884,470.43	-	126,523,967.00
300	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	9,469,713.54	163,290,370.46	-	172,760,084.00
310	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა (-/+)	-	-	-	-
320	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4.

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

N	დასახელება	(საანგარიშო წელი)		
		ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	საწყისი ნაშთი	1,300,640,636.00	237,049,713.00	1,537,690,349.00
020	საადრიცხო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
030	წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	1,875,357.00	(1,875,357.00)	-
040	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	1,300,640,636.00	237,049,713.00	1,537,690,349.00
050	არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	12,979,885.00	14,548,052.00	27,527,937.00
060	კურსთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი	706,678.00	11,957,766.00	12,664,444.00
070	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	12,273,207.00	2,590,286.00	14,863,493.00
080	არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	2,975,970.00	16,662,735.00	19,638,705.00
090	კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი	1,035,238.00	12,887,248.00	13,922,486.00
100	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,940,732.00	3,775,487.00	5,716,219.00
110	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (120+130)	6,316,510.06	4,098,820.00	10,415,330.06
120	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	6,316,510.06	462,225.00	6,778,735.06
130	მოგების გადასახადი	-	3,636,595.00	3,636,595.00
140	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	67,389,447.87	56,548,044.00	123,937,491.87
150	ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+140)	1,371,717,488.81	287,384,254.00	1,659,101,742.81

ფორმა N5.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის %	საკასო ხარჯი	გადახრა დაზუსტებულ გეგმასა საკასო შორის %	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010 ხარჯები	1,038,499,548.00	1,061,431,743.00	2.21%	1,057,726,808.00	-0.35%	1,095,463,565.00	37,736,757.00
020 მათ შორის:	-	-					
030 შრომის ანაზღაურება	23,049,188.00	21,795,524.00	-5.44%	21,942,025.69	0.67%	21,941,522.00	(503.69)
040 არაფინანსური აქტივების ზრდა	82,422,833.00	49,097,003.00	-40.43%	45,325,547.17	-7.68%		
050 ფინანსური აქტივების ზრდა	-	1,000,000.00	0.00%	4,888,275.00	388.83%		
060 ვალდებულებების კლება	-	8,927.00	0.00%	398,824.27	4367.62%		

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE